სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება

N 01-082701

ქ. თბილისი

27 აგვისტო 2014 წ.

ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ ცაბუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,კრისტალი" წარმოდგენილი მისი დირექტორის გივი სვანიძეს სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის N 519 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შეასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ. ცაგერში ასფალტის საფარის აღდგენითი სამუშაოების შესყიდვა (შესყიდვის დანაყოფი- 45200000-სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები, CPV 45233222- მოკირწყლვისა და მოასფალტების სამუშაოები).

2.2 შესასრულებელი სამუშაოს ზუსტი აღწერა მოცემულია დანართი N1-ში (ხარჯთაღრიცხვა), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარს. 1მ² დაზიანებული ასფალტბეტონის საფარის დაგება და ქვესაგები ფენის მოწყობა სისქით 4სმ - ღირებულება შეადგენს 32 (ოცდათორმეტი) ლარს, 1მ² დაზიანებული ასფალტბეტონის საფარის დაგება და ქვესაგები ფენის მოწყობა სისქით 5სმ - ღირებულება შეადგენს 34 (ოცდათოთხმეტი) ლარს, 1მ² დაზიანებული ასფალტბეტონის საფარის დაგება და ქვესაგები ფენის მოწყობა სისქით 6სმ - ღირებულება შეადგენს 36 (ოცდათექვსმეტი) ლარს, 1მ² დაზიანებული ასფალტბეტონის საფარის დაგება და ქვესაგები ფენის მოწყობა სისქით 8სმ - ღირებულება შეადგენს 48 (ორმოცდარვა) ლარს.

3.2 შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის განსაზღვრა მოხდება მხარეთა მიერ შედგენილი დეფექტური აქტის საფუძველზე, რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს ქ. ცაგერი სერვის ცენტრის ტექნიკური სამსახური უფლებამოსილი წარმომადგენელი.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკუთარი სახსრები.

4.4 ანგარიშწორება განხოციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშფაქტურის (გადამხდელის შემთხვევაში) და დეფექტური აქტის საფუძველზე.

4.5 წინასწარი ანგარიშწორება არ გამოიყენება.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი სამუშაოების მიმდინარეობაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი/წარმომადგენლები.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6 შესყიდვის ობიექტის პირობები, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასრულებელი სამუშაო უნდა აკმაყოფილებდეს დანართი N1–ში (ხარჯთაღრიცხვა) მითითებულ პირობებს.

6.2 სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით.

6.3 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

6.4 მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელს მოაწერს ქ. ცაგერის სერვის ცენტრის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

7 საგარანტიო პირობები

მიმწოდებელის მხრიდან, მის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება საგარანტიო ვადა 1 (ერთი) კალენდარული წლის გამნავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

8 პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 12 ოქტომბრის ჩათვლით.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11 ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული შესასრულებელ სამუშაოს ხარისხთან და ა.შ.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13 სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16 შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17 გადასახადები და დაბეგვრა

17.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

17.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18 დამატებითი პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"	შპს „კრისტალი"
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველა 76 ბ	მის: სოფ.ჩხუტელი კაშხლის დასახლება
სს „ლიბერთი ბანკი"	ტელ: 599-10-47-97
ცენტრალური ფილიალი	სს „რესპუბლიკა ბანკი"
კოდი: 220101480, LBRTGE22	კოდი: REPLGE22
ა/ა N GE77LB0113123325230012	ა/ა GE51BR0000003605058821
ს/კ 412670097	ს/კ 242574282
არჩილ ცაბუტაშვილი დირექტორი	გივი სვანიძე დირექტორი

დანართი N1

N	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ.ფასი
1	ასფალტის საფარის დაგება და ქვესაგები ფენის მოწყობა სისქით 4სმ	$მ^2$	1	32 ლარი
2	ასფალტის საფარის დაგება და ქვესაგები ფენის მოწყობა სისქით 5სმ	$მ^2$	1	34 ლარი
3	ასფალტის საფარის დაგება და ქვესაგები ფენის მოწყობა სისქით 6სმ	$მ^2$	1	36 ლარი
4	ასფალტის საფარის დაგება და ქვესაგები ფენის მოწყობა სისქით 8სმ	$მ^2$	1	48 ლარი

შემსყიდველი:

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"

არჩილ ტაბუტაშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს ,,კრისტალი"

გივი სვანიძე
დირექტორი